სამაგისტრო პროექტი: GMP-ის ისტორია და ხარისხის ფილოსოფია

სამბელაშვილი თამარი

ჯგუფის N11

სამაგისტრო პროექტის ანგარიში
წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: თინა ტურძილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2016 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ სამბელაშვილი

ხელმოწერა :

თარიღი : 20.06.2016 წ.

აბსტრაქტი

თანამედროვე ცხოვრების წესმა და გარემოსდაბინძურების მატებამ მსოფლიოში ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზაგავლენამოახდინა. შესაბამისად, დაავადებათა მატებამ სამკურნალო საშუალებათა საჭიროებაგაზარდა. ყოველივე ამან გამოიწვია ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი მედიკამენტებისა და ფარმაცევტული კომპანიების შემოსვლა. ადამიანისთვის განკუთვნილი სამკურნალო საშუალებების მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე დიდია იმდენად, რამდენადაც მზარდია დაბალი ხარისხის, არაეფექტიანი და საფრთხის შემცველი ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის რისკები, განსაკუთრებით კი დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებისთვის, სადაც მარეგულირებელი ინსტრუმენტები და ხარისხის კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს რისკების პრევენციას და დროულ რეაგირებას.გაიზარდა კონკურენცია და საჭირო გახდა მეტი რეგულაციების შემოღება.